შპს,,ბი ემ სი გორგია" LTD"B M C G O R G I A"

სოხუმის ქ.10,ბათუმი, 6002, საქართველო Sokhumi St.10, Batumi, 6002, Georgia

ბათუმი: Tel: +995(32) 2497576 ; Fax: +995(422) 275872 E-mail: info@gorgia.ge

თბილისი:Tel: +995 (32) 2960 960; Fax:+995(32) 2356521 www.gorgia.ge

ქ. თბილისი 19.04.2019

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 0419/2

შპს „ბი ემ სი გორგიაში" ტენდერის წესით შესყიდვების განხორციელების შესახებ

ვბრძანებ:

1. შეიქმნას **შპს „ბი ემ სი გორგიას"** (შემდგომში „კომპანია") მუდმივმოქმედი სატენდერო კომისია თანამშრომელთა შემდეგი შემადგენლობით:

    1.1. შესყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ზვიად საყვარელიძე** - კომისიის თავმჯდომარე;
    1.2. იურისტი **ქეთევან ლომაძე** - კომისიის წევრი;
    1.3. ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი **ანი ხვიჩავა** - კომისიის წევრი;
    1.4. ფინანსური მენეჯერის ასისტენტი **ზურაბ ტაბატაძე** - კომისიის წევრი;

2. სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას სატენდერო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

    2.1. შესყიდვების მენეჯერი **გიორგი ჯიმშიტაშვილი** - კომისიის აპარატის წევრი;
    2.2. შესყიდვების მენეჯერი **გიორგი გვალია** - კომისიის აპარატის წევრი;

3. სატენდერო კომისიას დაევალოს უზრუნველყოს, კომპანიის არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, ტენდერების განხორციელება და ამისათვის წარადგინოს შესაბამისი ინფორმაცია და სატენდერო დოკუმენტაცია, განსაზღვროს კრიტერიუმები შერჩევისათვის, განიხილოს პრეტენდეტების წინადადებები და გამოავლინოს გამარჯვებული ხმათა უმრავლესობით, ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება სხდომის თავმჯდომარის ხმას;
4. სატენდერო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია, კომისიის კრებას დაესწროს მინიმუმ სამი წევრი;
5. სატენდერო კომისიის აპარატის წევრები ჩართულნი არიან კონკრეტული ელექტრონული ტენდერის ჩატარების პროცესში, აქვთ უფლება გასცენ ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ; თუმცა არ იღებენ მონაწილეობას ხმის მიცემის პროცესში;

შპს,,ბი ემ სი გორგია" LTD"B M C G O R G I A"

სოხუმის ქ.10,ბათუმი, 6002, საქართველო

Sokhumi St.10, Batumi, 6002, Georgia

ბათუმი: Tel: +995(32) 2497576 ; Fax: +995(422) 275872

E-mail: info@gorgia.ge

თბილისი:Tel: +995 (32) 2960 960; Fax:+995(32) 2356521

www.gorgia.ge

6. მე-3 მუხლით განსაზღვრული დავალების შესასრულებლად კომისიამ საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი - კომპანიის თანამშრომელი, სატენდერო კომისიაში შერჩევის პროცესში მონაწილეობისათვის, კონსულტანტის სახით;
7. სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანიის ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დაევალოს უზრუნველყოს, მისი ან მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლის მონაწილეობა სატენდერო კომისიის მუშაობაში, იმის გათვალისწინებით, რომ სატენდერო კომისია დაასაბუთებს აღნიშნული მოთხოვნის საჭიროებას.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ბრძანების დამტკიცების თარიღი:

შ.პ.ს. ,,ბი ემ სი გორგიას"

დირექტორის მინდობილი პირი

გია გორგოშაძე